

შპს ექსპერიმენტალური სტუდია ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება:	შპს ექსპერიმენტალური სტუდია
სამართლებრივი ფორმა: საზოგადოება	შეზღუდული პასუხისმგებლობის
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405209901
რეგისტრაციის ნომერი, თარ:	30/05/2017
მარეგისტრირებელი ორგანო: სააგენტო	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, , ვაკე-
საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ქუჩის IV მ/რ, ფერდობის გაგრძელებაზე	

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - 01019010462, დავით ჟღენტი

პარტნიორები

404399664, სააქციო საზოგადოება აი თი დი სი 100%

სტუდიით მომსახურება სატელევიზიო გადაცემების წარმოება

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მესამე განყოფილების (ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოთხოვნათა შესაბამისად). ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; კომპანია 2017 წელს ბუღალტერიას აწარმოებდა საბუღალტრო პროგრამა FMG-ში რომელიც 2018 წლის იანვრიდან მაისამდე შეიცვალა საბუღალტრო პროგრამა „ორისი“-თ რომელიც აგრეთვე 2018 წლის ივნისიდან კვლავ შეიცვალა საბუღალტრო პროგრამა FMG-თ. ფინანსურ ანგარიშგების შედგენა ევალება მთავარი ბუღალტერს, ფინანსურ ანგარიშგების მომზადებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება (მსს ფასს-ის) მე-17 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი სტანდარტის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ: ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი. ცვეთის მეთოდად არჩეულია შემცირებადი ნაშთის მეთოდი. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანები-დანადგარები - 4 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 4 წელი

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 4 წელი

სხვა - 6-7 წელი

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯებად აღიარება. როცა მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა უნდა აღიარდეს იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება მსს ფასს-ის 23 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება. თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში; გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საკურსო სხვაობების აღიარება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, მსს ფასს-ის 23-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის გარკვეული ნაწილის მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით საგადასახადო კოდექსის 168 მუხლის მეოთხე ნაწილის ქ) პუნქტის საფუძველზე. ასეთია საქართველოს ბინადარი ცხოველისგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამამუშავების შედეგად წარმოებული ყველი. წარმოებული ყველა სხვა პროდუქტის მიწოდება იბეგრება დღგ-თი.

მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ნაწილობრივ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო საკასო აპარატებით. სალაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება, სალაროს ოპერაციებს მოლარე ოპერატორები და მთავარი მოლარე ახორციელებენ. ისინი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით. ორდერებზე არ ხდება მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითება, ვინაიდან ამ ანგარიშების განსაზღვრას სალაროს ოპერაციების ბუღალტრულ ბაზაში ასახვის ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

დამატებითი ღირებულებების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი. საქონლის მიწოდების, ასევე მომსახურების ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით გარდა ყველის მიწოდებისა, რაც განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით. კომპანიას

უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი, დანაკლისები დაბეგრული აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით. დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში; ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით. ზელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

შპს ექსპერიმენტალური სტუდია

ს/კ 405209901

მთ. ბუღალტერი

დირექტორი:

ქლენტი

კახა ლომიძე
დავით

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	სამგარიშები პერიოდის სივლით	წინა სამგარიშები პერიოდის სივლით	წინა სამგარიშები პერიოდის სივლით
აქტივები			
მუდღეო სახსრები და მათი ეკვივალენტები	1120	18213	2138051
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1666132	1351009	928452
სხვა პირებზე ავანსები და სხვებზე გაცემული მუდღეო სახსრები	-	-	-
მართვები	31431	58454	7458
- მზა პრივილეგიები	-	-	-
- სხვა	31431	58454	7458
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ფინანსური ინვესტიციები მოკლევადიანი	-	-	-
გადასახდელი მოკლევადიანი	-	-	-
სადასახდელო	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
მართვები საშუალებები	-	-	-
რეცეპტები შედარებით კომპანია	1096090	9646352	1088954
რეცეპტები სხვა საწარმოთა წარმოებულ ინტერესტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	12,662,592	11,074,428	12,761,415
პატივმოქმედებები			
საფასო პატივმოქმედებები	-	3365912	3344367
სავაჭრო პატივმოქმედებები	8283844	-	-
მართვები	-	-	-
გადასახდელი პატივმოქმედებები მომართ	-	-	-
სადასახდელო პატივმოქმედებები	-	-	-
გადასახდელი პატივმოქმედებები	-	-	-
მოკლევადიანი საწარმოთა სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი საწარმოთა სახსრები	-	-	-
მოკლევადიანი გრძელვადიანი	-	-	-
სხვა პატივმოქმედებები	-	-	-
სულ პატივმოქმედებები	8,283,844	3,365,912	3,344,367
საკუთარი კაპიტალი			
საფასო კაპიტალი (მზა პატივმოქმედებები კაპიტალი / კონსერვატივი პატივმოქმედებები სასაით კაპიტალი)	11571445	11571445	11571445
საფასო შენაძრავი	-	-	-
გამოყენებული საკუთარი აქტივები	-	-	-
გადასახდელი პატივმოქმედებები / (გადასახდელი საწარმო)	-7192897	-3892029	-2154427
გადასახდელი პატივმოქმედებები	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	4,378,548	7,679,416	9,417,018
სულ საკუთარი კაპიტალი და პატივმოქმედებები	12,662,592	11,074,428	12,761,415
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1	1	1
სხვა მოკლევადიანი პატივმოქმედებები	-	-	-

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წევრი არსებები	1,751,508	1,858,568
საქონლის გადაყვანები	-	-
მომხმარებლის განყვანები	1751508	1956568
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყვანილობის ბუილიზაციები	-1032336	-771019
საერთო მოგება	719,250	1,185,549
სხვა საბუღალტრო შეზღუდვები	-	-
დასაქმებულთა ასრულებები	-827703	-953758
ეკონომიკური რეგრესიის ხარჯი	-1707814	-1731853
საბუღალტრო შეზღუდვები	-	-
საბუღალტრო ხარჯი	-	-
რეგრესიის ხარჯი	-27041	-125009
ავტონომიური და სხვა საბუღალტრო ხარჯი	-1456460	-113440
სხვა საბუღალტრო ხარჯები	(4,019,018)	(2,924,051)
საანგარიშგებო მოგება	(3,299,768)	(1,738,502)
გადასახადების (წარდები) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაყვანილობის (წარდები) / აღდგენა	-	-
მარაგების გაყვანილობის გაყვანილობის (წარდები) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაყვანილობის (წარდები) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დასაქმებულთა) უცხოური კაპიტალი გაყვანილობა და საბუღალტრო საბუღალტრო გადაყვანილობები	-	-
მოგებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაბუღალტრო შემოსულობა / (წარდები)	-	-
მოგება / (წარდები) მოგების გადასახადების ხარჯებზე გაყვანილობის იმერაციებიდან	(3,299,768)	(1,738,502)
მოგების გადასახადების ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / წარდები	(3,299,768)	(1,738,502)
სხვა სრული შემოსულობა / (წარდები)		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, მოდიფიკირებული აქტივების) გადაყვანების რეგრესიები	-	-
სხვა მათ შორის წილი კომპანიები და მუცხონიერ საწარმოების უმრავლესობის გადაყვანების რეგრესიები და დივიდენდი გადასახადები	-	-
სხვა სრული შემოსულობა / (წარდები), სულ:	-	-
წმინდა შემოსულობა / (წარდები)	(3,299,768)	(1,738,502)
საერთო კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	7678518	9417018
ახალი აქციების გამოშვება (მათ შორის შეზღუდვები - კაპიტალის გაზრდა, კონსერვაციის შეზღუდვები) საერთო კაპიტალის გაზრდა / განაღდება (მათ შორის რეგრესიები) (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გარეგანი ფაქტორების მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საერთო კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,378,748	7,678,518

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საბუღალტრო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საბუღალტრო საქმიანობიდან გამოდგომული) წმინდა ფულადი ნაკადები	-11260	-1106052
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობიდან გამოდგომული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობიდან გამოდგომული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსულობა (გაყვანა)	(11,280)	(1,106,052)
კაპიტალის კონსერვაციის გავლენა ფულადი სახსრების და მათი გვერდულზე	-5813	-14286
ფულადი სახსრები და მათი გვერდულზე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	16213	1138551
ფულადი სახსრები და მათი გვერდულზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,120	16,213